

ფოთლის, სტიროლისა და ტრიეთოქსი(ვინილფენეთილ)სილანის ბაზაზე  
ახალი კომპოზიციური მასალების მიღება და კვლევა

*თამარ აბუაშვილი*

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი

ი.ჭავჭავაძის 3

ნაშრომი ეხება განახლებადი მცენარეული ნედლეულის-ფოთლისა და შემკვრელების-სტიროლისა და ტრიეთოქსი(ვინილფენეთილ)სილანის ბაზაზე ახალი კომპოზიციური მასალების მიღებასა და კვლევას. აღნიშნული კომპოზიციური მასალები ხასიათდებიან უკეთესი ფიზიკურ-მექანიკური თვისებებით, ვიდრე ხის ბურბუმელოვანი ფილები, რომლებიც დამზადებულია ფენოლ-ფორმალდეჰიდური ფისების ბაზაზე. შესწავლილია ახალი კომპოზიციური მასალების მიღება მუდმივი წნევისა და სხვადასხვა ტემპერატურის პირობებში, დადგენილია კომპოზიტების მიღების ოპტიმალური პირობები. მიღებული შედეგები საშუალებას მოგვცემს წარმოებული მასალები შევიტანოთ სახლში, ჭერის, იატაკის, კედლების დასამზადებლად, ასევე გამოვიყენოთ ავეჯის წარმოებაში. ნიმუშებზე ჩატარებულია გამოკვლევები: წყალშთანთქმა, სიმტკიცის ზღვარი ღუნვაზე (ბრინელის მიხედვით), დარტყმითი სიბლანტე, თერმოგრაფიმეტრიული ანალიზი, თერმომდგრადობა (ვიკატის მეთოდი), სპექტრული (FTIR), ოპტიკურ მიკროსკოპული გამოკვლევები. განისაზღვრა მიღების ოპტიმალური პირობები.